დანართი 1.

საქართველოს გარემოსდაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 14 თებერვლის №1364/01 წერილით წარმოდგენილ შენიშვნებზე დაზუსტებული ინფორმაცია

შენიშვნა - გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და შემდეგ დასაწყობება საპროექტო ტერიტორიაზე, რომელიც გამოყენებულ იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისთვის და ტბორის გარშემო ზოლში განთავსებისათვის. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის აღნიშნული კონკრეტულად რა რაოდენობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება და სად დასაწყობდება;

პასუხი - საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ქვეთავში გამოყოფილია ფენა #1 ნიადაგის საფარი, რომლის სიმძლავრე 0-0,30 მეტრია.

გზშ-ის ანგარიშის 20.3.1 თავში ჩაწერილის, რომ ,, თევზსაშენი ტბორის მოწყობის სამუშაოების ჩატარების პერიოდში იგეგმება მიწის სამუშაოების წარმოება, შესაბამისად მოხდება ზედა ნაყოფიერი ფენის მოხსნა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის კანონმდებლობის დაცვის შესაბამისად დასაწყობება. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომში აღნიშნული ნიადაგი გამოყენებულ იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისთვის და დასაწყობებული ნიადაგის ტბორის გარშემო ზოლში განთავსებისათვის.“

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა ორივე ტბორის მოწყობის პროცსში იქნება 12 600 $მ^3$

ნიადაგის განთავსების კოორდინატები.

Id	X	Y
1	332981	4664769
2	332980	4664762
3	333011	4664754
4	333011	4664734
5	333024	4664731
6	333030	4664731
7	333029	4664763

- **შენიშვნა** - გვ. 55 რუკა 6. საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ რუკაზე არ არის წარმოდგენილი ლეგენდა (პირობითი ნიშნები) შესაბამისად გაურკვეველია ფერთა კლასიფიკაცია (რომელი ფერი რას აღნიშნავს);

ანგარიშში მოცემულ რუკა 6-ზე, კარგად ჩანს წითელ ფერში მოცემული აღნიშვნა, ხოლო რუკის ქვემოთ მოცემულია განმარტება ,,რუკაზე წითლად აღნიშნულია არგვეთის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ კარსტული წყლების არტეზიულ ზონა", რომელიც ნათლად ასახვას იმ ჰიდროგეოლოგიურ რაიონს (III_8) რომელშიც არის საპროექტო ტერიტორია.

პასუხი - დამატებით გიგზავნით ახალ რუკას შესაბამისი ლეგენდით.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკა
1:2 000 000
I
II1
II2
II3
II4
II5
II6
III1
III2
III3
III4
III5
III6
III7
III8
III9
III10
III11
III12
III13
IV1
IV2
IV3
IV4
V1
V2
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბაკურიანი
ბაზალეთ

მნიშვნელოვანი საკითხია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შეფასებისათვის. საჭიროა მითითებულ იქნეს წყარო (სამეცნიერო ლიტერატურა, ნორმატივი და სხვ), საიდანაც მოხდა აღნიშნული მეთოდოლოგიის განსაზღვრა;

პასუხი - ანგარიშის ქვეთავში ,,1.1. ,,საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, სტანდარტები და საერთაშორისო ხელშეკრულებები", ჩამოთვლილია ყველა ის სტანდარტი რაც გამოყენებულია შეფასებაში. აქვე ვაზუსტებთ, რომ ანგარიშში მოცემული რაოდენობრივი კრიტერიუმებისთვის გამოყენებულია საქართველოს და საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტები (ჰაერი, წყალი, ნიადაგი), კერძოდ:

- **საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ** (დამტკიცებულია 1999 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ. საბოლოო ვარიანტი - 05/02/2014). რეგულირების სფეროა - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის მავნე ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან დაცვა. მავნე ანთროპოგენული ზემოქმედება არის ატმოსფერულ ჰაერზე ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შესაძლოა მოახდინოს მისი ხარისხის გაუარესება;

- **საქართველოს კანონი წყლის შესახებ** (დამტკიცებულია 1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ. საბოლოო ვარიანტი - 06/09/2013).
კანონი განსაზღვრავს წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლის საკითხებს. სხვა საკითხებთან ერთად სახელმწიფო კონტროლის სფეროს განეკუთვნება წყალჩაშვების ნორმებისა და წესების, აგრეთვე წყალსარგებლობის დადგენილი რეჟიმის დაცვა. კანონის მიხედვით პასუხისმგებლობა ეკისრება პირებს, რომლებიც დამალავს ან დაამახინჯებს ინფორმაციას ავარიული სიტუაციების, ზალპური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე.

- **საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ** (დამტკიცებულია 1994 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ. საბოლოო ვარიანტი - 14/06/2011). კანონის მიზანია უზრუნველყოს ნიადაგის მთლიანობის დაცვა, და ნაყოფიერების გაუმჯობესება, განსაზღვრავს მოსარგებლეთა და სახელმწიფოს ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას ნიადაგის დაცვის პირობების და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების უზრუნველსაყოფად. კანონი განსაზღვრავს ნიადაგში სახიფათო ნივთიერებათა კონცენტრაციის მაქსიმალურ დასაშვებ ზღვრებს.
კანონი გამორიცხავს ნაყოფიერი მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებას, კრძალავს რაიმე საქმიანობის წარმართვას ნიადაგის ზედა ნაყოფიერი შრის მოხსნის გარეშე, კრძალავს ღია კარიერის წესით წიაღისეულის მოპოვებას შემდგომი რეკულტივაციის გარეშე, კრძალავს ტერასების მოწყობას წინასწარი კვლევის და დამტკიცებული პროექტის გარეშე; კრძალავს უკონტროლო ძოვებას, ტყის ჭრასა და ნიადაგის დაცვის საშუალებების დაზიანებას; კრძალავს ყოველგვარ საქმიანობას, რომელსაც ძალუძს ნიადაგის ხარისხის გაუარესება (მაგ. აკრძალული ქიმიური ნივთიერებების/სასუქების გამოყენება, და სხვა).

ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით (31/12/2013).

საკანონმდებლო ბაზის სრულ ჩამონათვალს იხილავთ ანგარიშში ცხრილი 1-ში და ცხრილი 2-ში.

- **შენიშვნა** - დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტბორების დაშორება მდინარე ყვირილადან, ვინაიდან გზშ-ს ანგარიშზე თანდართული შეიფ ფაილების გეოინფორმაციულ სისტემებში გადამოწმებისას მანძილი მდინარემდე შეადგენს საშუალოდ 35-45 მეტრს. ხოლო წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „თევზსაშენი ტბორის უშუალო განთავსების ტერიტორიიდან უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტს წარმოადგენს მდ. ყვირილა საშუალოდ 55 მეტრის დაშორებით.

- **პასუხი** - შეიფ ფაილების გეოინფორმაციულ სისტემებში დამატებით გადამოწმებისას, „თევზსაშენი ტბორის უშუალო განთავსების ტერიტორიიდან უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. ყვირილა საშუალოდ. მანძილი შეადგენს საშუალოდ 45 მეტრს.

- **შენიშვნა** - გზშ-ის ანგარიშის 128-ე გვერდზე წარმოდგენილ თევზსაშენი ტბორის მოწყობა- ექსპლუატაციის ეტაპის გეგმა-გრაფიკში განსახორციელებელ სამუშაოთა ნაწილი, მაგალითად: ტბორის მოწყობის, ნიადაგის მოხსნა-დასაწყობება, მიწის სამუშაოები შესაბამისი რეგლამენტით მოწყობა და არსებული არხის გაწმენდითი სამუშაოები და შლამის (ნარჩენების) გატანა კონტეინერებით, შესრულების ვადები მითითებულია 2021 წელი. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი გზშ-ის პროცედურებისა და იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი სამუშაოები უნდა განხორციელდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, განახლებას საჭიროებს აღნიშნული გეგმა-გრაფიკი;

პასუხი - ქვემოთ მოცემულია თევზსაშენი ტბორის მოწყობა-ექსპლუატაციის განახლებული გეგმა-გრაფიკი.

#	გასატარებელი ღონისძიებები	მიზანი	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი შესრულებაზე
1	ტბორის მოწყობის, ნიადაგის მოხსნა-დასაწყობება, მიწის სამუშაოები შესაბამისი რეგლამენტით მოწყობა.	მდ. ყვირილას მარჯვენა პირველი ტერასის მიმდებარე ტერიტორიის გარემოს შენარჩუნება	2022 წელი	„ი/მ გივი დეკანოიძე“
2	არსებული არხის გაწმენდითი სამუშაოები და შლამის (ნარჩენების) გატანა კონტეინერებით.	მდ. ყვირილას და მის მიმდებარედ საპროეტო ტერიტორიის ნიადაგის, მიწის და წყლის დაცვა.	2022 წელი / ნარჩენების გატანა სისტემატურად	„ი/მ გივი დეკანოიძე“
3	ზედაპირული წყლის დაბინძურების რისკების მინიმიზაცია	მდ. ყვირილას შესაძლო დაბინძურების თავიდან აცილება	სისტემატურად	„ი/მ გივი დეკანოიძე“

4	სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, ტერიტორიაზე ნავთოპროდუქტების და ზეთების დაღვრის პრევენციის მიზნით.	ნიადაგის და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკების მინიმიზაცია.	სისტემატურად	,,ი/მ გივი დეკანოიძე"

- **შენიშვნა** - წარმოდგენილი წყლის ქიმიური ანალიზის ოქმში სასურველია ჟქმ-ის პასუხი <15 დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს რატომ არ არის მოცემული ზუსტი ციფრი და რას ნიშნავს ნაკლებობის ნიშანი;

პასუხი - მდ. ყვირილადან აღებულ წყლის სინჯში ჟქმ-განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი ფირმა გამას ლაბორატორიაში ISO 6060-89, აღნიშნული მეთოდი და ჟქმ-ს განსაზღვრის დანადგარი ითვალისწინებს კომპონენტის 15 მგ/ლ-მდე განსაზღვრას, რაც დანადგარის და მეთოდის განსაზღვრის ქვედა ზღვარია, ესეიგი მოცემულ ნიმუშში ჟქმ შეადგენს 15 მგ/ლ-ზე ნაკლებს.
„საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი №425"-თ (2013 წლის 31 დეკემბერი), განსაზღვრულია, რომ ზედაპირულ წყლებში ჟქმ-ს მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა მოსახლეობის სასმელ სამეურნეო დანიშნულებისთვის არ უნდ აღემატებოდეს 15მგ/ლ-ს ხოლო მოსახლეობის სამეურნეო - საყოფაცხოვრებოდ 30 მგ/ლ-ს.

- **შენიშვნა** - საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ფაუნაზე დამატებით კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, სადაც გათვალისწინებული იქნება ფაუნაზე შესაძლო ზემოქმედების, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების საკითხები, ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;

პასუხი - აღნიშნული ტერიტორია ანთროპოგენული ზეგავლენის ქვეშაა, ხოლო მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, შესაბამისად არც საპროექტო თევზსაშენი ტბორის ტერიტორიაზე და არც მიმდებარედ არ შეინიშნება რაიმე განსაკუთრებული ეკოლოგიური მნიშვნელობის ფლორის და ფაუნის წარმომადგენლები.

არც პროექტის მასშტაბები და სპეციფიკა არ იძლევა იმის საჭიროებას, რომ განხორციელდეს რაიმე ტიპის დამატებითი ფაუნის კვლევის ჩატარება და მითუმეტეს საკომპენსაციო ღონისძიებების საკითხების განხილვა.
აღნიშნული საკითხის განხილვა პროექტთან მიმართებაში არარელევანტურია, რადგან ტერიტორია საბჭოთა პერიოდიდან სრულად არის ათვისებული და სახეცვლილია.

- **შენიშვნა** - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით"; წარმოდგენილი ალტერნატივები არის ზოგადი ხასიათის, არ არის სათანადოდ განხილული და დასაბუთებელი, რაც საჭიროებს კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას;

პასუხი - დოკუმენტის სკრინინგის, სკოპინგის და გზშ ანგარიშის განხილვის ეტაპზე შეფასდა პროექტის სამი ალტერნატივა: „არ განხორციელების" ალტერნატივა, პროექტის ,,სხვა ტერიტორიაზე განხორციელების" ალტერნატივა და პროექტის ,,მიღებული" ალტერნატივა.

„არ განხორციელების" ალტერნატივა გულისხმობს, პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას, თუმცა ეს იმ შემთხვევაში თუ პროექტის განხორციელება გარემოზე უარყოფით და შეუქცევად ზემოქმედებას მოახდენს.
თევზსაშენი ტბორი არ არის მაღალი რისკის და საფრთხის გამომწვევი საქმიანობა. პროექტი ვერ გამოიწვევს გარემოზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე უარყოფით და შეუქცევად ზემოქმედებას, რაც ჩატარებული კვლევებით და ტერიტორიის შეფასებით დასტურდება.
„არ განხორციელების" ალტერნატივა გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას პრაქტიკულად გამორიცხავს, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისითაც არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული ალტერნატივის განხილვა, რადგან ბაზარზე მოთხოვნა მაღალია ადგილობრივ პროდუქციაზე და შესაბამისად, მსგავსი ტიპის საქმიანობა ხელს შეუწყობს დეფიციტის შევსებას და მეტ ფინანსურ სარგებელს მოიტანს რეგიონისთვის.

,,სხვა ტერიტორიაზე განხორციელების" ალტერნატივა და სხვა ტერიტორიაზე მოწყობამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების წარმოება (ზედმეტი გრუნტის ამოღება, მოშანდაკება, გამაგრებითი სამუშაოები, ახალი არხის მოწყობა, წყლის საქაჩი ტუმბო და ა.შ.), რაც მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან ერთად გარემოს კომპონენტებზე დამატებითი ზემოქმედების წყარო იქნებოდა.

გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით სხვა ალტერნატივა არ იქნა დამტკიცებული, რადგან პროექტისთვის შერჩეული ტერიტორია ყველა შეფასების კრიტერიუმით მისაღებია.

,,მიღებული" ალტერნატივა გარემოსდაცვითი ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს, ასევე მისაღებია სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებითაც, რაც ანგარიშის ზემოქმედების შეფასების ნაწილში კარგად არის დასაბუთებული.
ალტერნატივა შერჩეულ იქნა ტერიტორიის ბუნებრივი რელიეფიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე არსებული წყლის არხის და მდ. ყვირილას სიახლოვის გამო. ეს ის სამი ძირითადი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს პროექტის მინიმალურ ზემოქმედებას გარემოზე.
შერჩეული ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, რაც ,,ი/მ გივი დეკანოიძე"-ს საკუთრებაა და არ არის საჭირო ნაკვეთისთვის დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფა.
ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიები მთლიანად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოიყენება და დასახლებული პუნქტიდან მოშორებითაა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა აღნიშნული ალტერნატივის შერჩევისთვის.

- **შენიშვნა** - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)" ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტში ფიქსირდება მხოლოდ ორი ხელმოწერა. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დადგინდა, რომ დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობდა ორზე მეტი პირი. შესაბამისად, საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს განახლებული ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშის შედგენაში მონაწილე პირთა შესახებ, შესაბამისი ხელმოწერებით;

პასუხი - ანგარიშში მოცემულია საკონსულტაციო კომპანიის დირექტორის და კონსულტანტის ხელმოწერა, რომელთაც მოამზადეს და დაამუშავეს დოკუმენტი.
„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" არ არის განსაზღვრული კონსულტანტთა კონკრეტული რაოდენობა, შესაბამისად ანგარიშს ხელს აწერენ მხოლოდ ის პირები ვინც უშუალოდ იყო ჩართული დოკუმენტაციის მომზადებაში.

- **შენიშვნა** - გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ტბორის მოწყობისთვის განსაზღვრული სიღრმე 3-4 მეტრი, განსაზღვრული იქნა იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ შერჩეული სარეწაო თევზის სახეობები, სარკისებური კობრი, სქელშუბლა და თეთრი ამური, ოპტიმალურად მრავლდება და შედარებით ღრმა წყალსატევებში, მაგალითისთვის ჩვენი დაკვირვების ობიექტი იყო ტყიბულის და შაორის წყალსაცავი". გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული დაკვირვების შედეგები და შესაბამისი ინფორმაცია, რომლითაც მოხდა ხელმძღვანელობა პროექტის დაგეგმვისას;

პასუხი - პროექტის მომზადების პროცესში ჩვენს მიერ ადგილზე გზშ-ის ანგარიშში მითითებულ ტერიტორიებზე მოხდა სპორტულსამოყვარულო და სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში მოთევზავეთა პირების გამოკითხვები, ასვე პერიოდულად (დასაშვები ტევზჭერის პერიოდების გათვალისწიენბით) ობიექტბზე მივლინება, თვეზჭერის პიროებზე და თევზის სახეობებზე და კვირვება, რომელიც ჩვენს მიერ, შემდგომი ანალიზისთვის იწერებოდა საველე წიგნაკებში, რომლის კამერალური დამუშავების შემდგომ მიღებული იქნა წარმოდგენილი ტბორის პარამეტრები და შერჩეული სარეწაო თევზის სახეობები. დღეს არსებული მდგომარეობით საველე წიგნაკი ვერ იქნა ნაპოვნი.

- **შენიშვნა** - გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ტბორიდან თევზის გადინების თავიდან ასაცილებლად „ტბორის გამშვებ ტრანშიაში ტბორის მიერთების ადგილზე მოწყობილი იქნება სპეციალური ხის ფირფიტების და ლითონის ბადე", წარმოდგენილი უნდა იქნეს ტბორიდან თევზების ბუნებრივ გარემოში მოხვედრის საწინააღმდეგო სისტემის/მოწყობილობის დეტალური აღწერა;

პასუხი - წარმოგიდგენთ სქემატურ ნახაზებს





- **შენიშვნა** - გზშ-ის ანგარიშის მე-2 პარაგრაფში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა ტბორი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება, როგორც არასრულსისტემიანი, ისე სრულსისტემიანი თევზის წარმოება“ როგორც სკოპინგის დასკვნით გეცნობათ, „თევზის მოზარდების გამოსაზრდელი ტბორის სიღრმე საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით შეადგენს 1,0-1,2 მ-ს, სანასუქე ტბორების (დაგეგმილი მშენებლობისათვის) სიღრმე უნდა იყოს 1,3-1,5 მეტრი. წყალგამშვებ მოწყობილობასთან (მონახი ან მილი) შესაძლებელია 2 მეტრამდე. თუმცა მისი სიღრმე განისაზღვრება წყალჩამშვები არხის დახრილობით და პოზიციით“. ვინაიდან გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტბორების სიღრმეები შეადგენს 3 და 4 მეტრს, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტბორებში თევზის სრულსისტემიან წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები;

შენიშვნა - როგორც წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშით, ჩვენს შემთხვევაში პირველ ეტაპზე მოვახდენთ შერჩეული თევზის სახეობების ლიფსიტების შესყიდვას და ტბორის დატევზიანებას, ხოლო შემდგომ მეურნეობის სრულად სრულსისტემიან ფაზაზე გადასვლისას თევზი გამოიზრდება სრული ციკლით – ქვირითობიდან (ტოფობა) დაწყებული, სასაქონლო თევზის მიღებით დამთავრებული. ამდენად თევზის მოშენების კონკრეტული პერიოდში ტბორის სიღრმეებთან დაკავშირებით პარამეტრები შეიძლება

(შემცირების მიზნით მხოლო) შეიძლება დაკორექტირდეს ადგილზე საჭიროებისამებრ იხტიოლოგის მეთვალყურეობის მეშვეობით და რეკონედაციით.

საქართველოს გარემოსდაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
პირველ მოადგილეს
ბატონ გიორგი ხანიშვილს

ინდივიდუალური მეწარმე ,,ი/მ გივი დეკანოიძე"-ს
მინდობილი პირი
დავითი რობაქიძე
საკონტაქტო ტელეფონი: 599 89 88 38

ელექტრონული ფოსტა: davitirobaqidze2@gmail.com
მისამართი:
თბილისი, მუხრან მაჭავარიანის № 65 , ბლოკი ,,ბ" ბინა 36

ბატონო გიოგი,

ჩვენს მიერ, განხილული იქნა სამინისტროს 14 თებერვლის №1364/01 წერილით გამოგზავნილი კორესპონდენცია (შენიშვნები), რომელიც შეეხეხება **ინდ. მეწარმე „გივი დეკანოიძის "** მიერ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე თევზსაშენი ტბორის მოწყობის მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

დანართი №1-ის სახით წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული წერილით მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას.

პატივისცემით;

დავითი რობაქიძე

11.03.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5445
"14" 03 2022
1/11 ფ.
03